თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4149404

ნომერი: AR1625127

თარიღი : 24.08.2018

გაცემის თარიღი : 03.09.2018

გაცნობის თარიღი : 05.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მოსაშვილი , N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ მარცვალაძე პ/ნ 01008018134
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 87

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1625417 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. #26-ში, #01.14.11.022.002 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 07 ივნისის #4002531 ბრძანებით ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. #26-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა, 2018 წლის 29 ივლისის #4134121 ბრძანებით ქ. თბილისში, მოსაშვილის ქუჩა #26, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.11.022.002), 2017 წლის 28 აპრილის #3234059 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის ნებართვა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. #26-ში, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ უნებართვოდ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ჟ. შარტავას ქ. #7)